

შპს „მიკროსაფინანსო
ორგანიზაცია „კრედექსი“

ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

აუდიტორთა დასკვნა	2
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1 ზოგადი ინფორმაცია	9
2 მომზადების საფუძვლები	10
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	10
4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	19
5 ხელფასები და ბონუსები	19
6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	19
7 დაბეგვრა	20
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
9 კლიენტებზე გაცემული სესხები	21
10 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	27
11 სხვა აქტივები	28
12 სესხები და კრედიტები	28
13 საკუთარი კაპიტალი	29
14 რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა და შიდა კონტროლის მექანიზმები	30
15 კაპიტალის მართვა	39
16 გაუთვალისწინებელი გარემოებები	39
17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
18 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: სამართლიანი ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	41
19 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	42



შპს KPMG Georgia

4, ზესიკის ქ,

თბილისი, 0108,

საქართველო

ტელეფონი: +995 322 93 57 13

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის“ „კრედექსი“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედექსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფინანსური სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და ასევე შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვან პოლიტიკებსა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენი აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრედექსი“

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

გვ. 2

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ას-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:


- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრედექსი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვ. 3

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე უფლებამოსილ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის


კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
16 მაისი, 2017 წელი




შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტსი“
 მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი	4	1,211,518	1,054,836
საპროცენტო ხარჯი	4	(346,500)	(288,054)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	865,018	766,782
გაუფასურების ზარალი	9	(30,939)	(44,633)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		834,079	722,149
კურსთამორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		135,983	122,650
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,872	1,823
სხვა საოპერაციო ხარჯები		(698)	(4,985)
ხელფასები	5	(234,293)	(231,916)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	6	(205,628)	(158,153)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	10	(30,012)	(30,388)
მოგება დაბეგვრამდე		503,303	421,180
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(73,413)	(62,545)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		429,890	358,635

5-42 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2016 წლის 16 მაისს ხელმძღვანელობის მიერ და ამ უკანასკნელის სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ შემდეგი პირები:


 ზურაბ აბულაძე
 აღმასრულებელი დირექტორი


 ნინო თავდიშვილი
 უფროსი ბუღალტერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედეუსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2016	2015
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	576,929	74,728
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	3,959,160	3,812,411
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10	90,453	110,630
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	12,836	3,956
სხვა აქტივები	11	107,185	72,880
სულ აქტივები		4,746,563	4,074,605
ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	12	3,067,505	2,594,322
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		47,101	33,266
სხვა ვალდებულებები		15,741	13,402
სულ ვალდებულებები		3,130,347	2,640,990
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	13	616,216	433,615
სულ კაპიტალი		1,616,216	1,433,615
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,746,563	4,074,605

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიუსი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის*

ლარი	შენიშვნა	<u>2016</u>	<u>2015</u>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		503,303	421,180
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთასა და ამორტიზაციაში		30,012	30,388
საპროცენტო შემოსავალში		(1,211,518)	(1,052,385)
საპროცენტო ხარჯში		346,500	288,054
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილ ზარალში		(128,155)	(115,393)
		<u>(459,858)</u>	<u>(428,156)</u>
 <i>ცვლილებები:</i>			
კლება/(მატება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში		162,279	(1,131,410)
(მატება)/კლება სხვა აქტივებში		(34,187)	6,608
კლება სხვა ვალდებულებებში		(338)	(7,436)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(332,104)	(1,560,394)
მიღებული პროცენტი		1,234,963	1,037,552
გადახდილი პროცენტი		(341,506)	(282,715)
გადახდილი მოგების გადასახადი		(68,458)	(50,900)
(ოპერაციებში გამოყენებული)/ფულადი სახსრები ოპერაციებიდან მიღებული		492,895	(856,457)
 საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,835)	(2,353)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(9,835)	(2,353)
 ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციონერების მიერ განხორციელებული შენატანი კაპიტალში		-	19,591
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან		2,862,064	1,904,521
სესხების და კრედიტების გადახდა		(2,655,019)	(989,834)
გადახდილი დივიდენდები		(247,289)	(103,500)
(ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული)/ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		(40,244)	830,778
წმინდა მატება (კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		442,816	(28,032)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		59,385	14,346
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		74,728	88,414
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	<u>576,929</u>	<u>74,728</u>

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედეუსი“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2016 წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2015 წლის 1 იანვარს	1,000,000	178,480	1,178,480
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში	-	358,635	358,635
პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები მესაკუთრეებთან			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(103,500)	(103,500)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000,000	433,615	1,433,615
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	1,000,000	433,615	1,433,615
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	429,890	429,890
პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები მესაკუთრეებთან			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(247,289)	(247,289)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000,000	616,216	1,616,216

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედექსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2012 წლის 23 აგვისტოს, იმ კერძო მეწარმეებისთვის მდგრადი საკრედიტო მომსახურების გაწევის მიზნით, რომლებსაც არ აქვთ წვდომა საკრედიტო საშუალებებზე ჩვეულებრივ საბანკო სისტემაში. „კომპანია“ საკრედიტო საშუალებებს სთავაზობს მრავალ მცირე მეწარმეს მათი საქმიანობების გაზრდისა და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებისთვის.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია ჭაბუკიანის ქუჩა №7, თბილისი, საქართველო.

„კომპანიის“ უმაღლესი მმართველობითი ორგანოა „აქციონერთა საბჭო“. „კომპანიის“ ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭო“, რომლის წევრებსაც ეს უკანასკნელი დანიშნავს. „კომპანიის“ ყოველდღიურ მართვას ახორციელებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ დანიშნული „აღმასრულებელი დირექტორი“.

„კომპანია“ დაფუძნებულია საქართველოს მოქალაქეების ვახტანგ ბართაიას, მიხეილ ცოგოშვილისა და ზურაბ ახალაიას მიერ „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შესაბამისი წილებით 70%, 20% და 10%.

2016 წელს მიხეილ ცოგოშვილის წილი გადაეცა ზურაბ ახალაიას (20%). 2013 წელს, ვახტანგ ბართაიას წილი გადაეცა სოფიო დევდარიანს (40%) და ნატალია კეკელიძეს (30%).

„კომპანიას“ ჰყავდა შემდეგი აქციონერები:

2016 წლის 31 წლის მდგომარეობით:

სოფიო დევდარიანი – 40%;
ნატალია კეკელიძე – 30%;
ზურაბ ახალაია – 30%.

2015 წლის 31 წლის მდგომარეობით:

სოფიო დევდარიანი – 40%;
ნატალია კეკელიძე – 30%;
ზურაბ ახალაია – 10%;
მიხეილ ცოგოშვილი – 20%.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიამ“ მიიღო დაფინანსების 32% ამ აქციონერებისგან (2015 წელს: 34%). აქციონერებს აქვთ უფლებამოსილება წარმართონ „კომპანიის“ ოპერაციები საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლის მიზნით. მათ ასევე სხვა ბიზნეს ინტერესებიც გააჩნიათ „კომპანიის“ გარეთ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-17 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2 მომზადების საფუძველები

(a) შესაბამისობა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ფასის საფუძველზე.

(c) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ასახავს მათი შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის ანგარიშგების ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

(d) შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების ფასს-თან შესაბამისობით მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და ქვემდებარე მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება შეფასებების კორექტირება და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელსაც ის ეხება.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში შეფასებების არასარწმუნოების და კრიტიკული მსჯელობების შესახებ, განსაზღვრულია შენიშვნაში 9(b), რომელიც უკავშირდება სესხის გაუფასურების შეფასებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში

(a) უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ქართულ ლარში ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო დღეს კონვერტირდება ლარში, ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და გადახდების გათვალისწინებით) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას (დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით) შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მოქმედ ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

(b) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში შეუზღუდავ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ბანკნოტებს და ხურდა ფულს, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და ვალდებულებები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა „კომპანიის“ მოცემული სესხებისა და მოთხოვნებისა:

- რომელთა გაყიდვასაც „კომპანია“ სასწრაფოდ ან უახლოეს დროში აპირებს;
- რომლებსაც „კომპანია“ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრავს მოგებაში ან ზარალში;
- რომლებსაც „კომპანია“ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს, ან,
- როდესაც „კომპანია“ ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად აღდგენას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზისა.

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას საწყისი აღიარების დროს.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელმწიფო დებულების მხარე. ფინანსური აქტივების შესყიდვის ყველა რეგულარული ფორმა აღიარდება ანგარიშსწორების დღისთვის.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ფინანსური აქტივის ან ვალდებულების მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახვის შემთხვევაში ემატება საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

საწყისი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივები, ისეთ წარმოებულ ინსტრუმენტებთან ერთად, როგორც არის აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, საოპერაციო ხარჯების გამოუკლებლად, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნას მათი გაყიდვის ან განკარგვის დროს, გარდა:

- სესხებისა და მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(iv) **ამორტიზირებული ღირებულება**

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი გადასახდელი თანხების გამოკლებით, აკუმულირებული ამორტიზაციის მიმატებით ან გამოკლებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვისდროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობასთან მიმართებაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) **სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები**

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა „კომპანია“ და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას „კომპანია“ განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, „კომპანია“ სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის სამართლიანი ღირებულება. თუ „კომპანია“ გადაწყვეტს, რომ სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და სამართლიანი ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს; ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

(vi) **მოგება და ზარალი სამართლიანი ღირებულების შემდგომი შეფასებისას**

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა „კომპანია“ გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა „კომპანია“ არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება „კომპანიაში“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად. „კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

„კომპანია“ ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

(viii) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის კონტრაქტებს.

წარმოებული ინსტრუმენტები საწყის ეტაპზე აღიარდება სამართლიანი ღირებულებით იმ დღეს, როდესაც წარმოებული ხელშეკრულება ამოქმედდება და შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღიარდება აქტივების სახით, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება არის დადებითი და ვალდებულებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება ნეგატიურია.

წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ix) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს მოახდინოს ურთიერთგაქვითვა სოლდირებული თანხით ან ერთდროულად განახორციელოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(d) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

(ii) ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებებისთვის „კომპანია“ განსაზღვრული აქვს შემდეგი მომსახურების ვადები:

- კომპიუტერი და ტექნიკა 3 წელი;
- საოფისე მოწყობილობები 5 წელი;
- საიჯარო ქონების მოწყობა 5 წელი;
- სხვა 7 წელი.

საიჯარო ქონების მოქრობის ცვეთის დარიცხვა იჯარისა და მომსახურების ვადისგან უფრო ხანმოკლე პერიოდისთვის ხდება.

ცვეთის მეთოდები, მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

(iii) არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები ცხადდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზირდება შესაძენად გაწეული და კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების დაწყებისთვის საჭირო ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაცია ერიცხება მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

(e) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „კომპანია“ აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

„კომპანია“ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია. ნებისმიერი ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, „კომპანია“ განსაზღვრავს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, რომელიც არის ერთი ან მეტი მოვლენის შედეგი, რომლებიც წარმოიშვება ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ (ზარალის მოვლენა) და როდესაც ამგვარ მოვლენას(მოვლენებს) ექნებათ გავლენა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მომავალ ფულად ნაკადებზე, რომლებიც შესაძლებელია ობიექტურად შეფასდეს.

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურებულია, შესაძლოა მოიცავდეს მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას ან ვადაგადაცილებას, სესხის პირობების დარღვევას, ფინანსური აქტივის რესტრუქტურისა და ფინანსური აქტივების ჯგუფს, რომელთაც „კომპანია“ სხვაგვარად არ განიხილავდა, ნიშნებს იმისა, რომ მსესხებელი ან სესხის გამცემი გაკოტრდება, აქტიური ბაზრის გაქრობა უზრუნველყოფის, გირაოს ღირებულების გაუფასურების, ან სხვა დაკვირვებადი მონაცემების მიზეზით, რომელიც უკავშირდება აქტივების ჯგუფს, როგორც არის ჯგუფში მსესხებლების გადახდის მდგომარეობის უარყოფითი ცვლილებები, ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც უკავშირდებიან ჯგუფში ვალდებულებების დარღვევას.

(i) **ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი**

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები პირველ რიგში მოიცავენ კლიენტებზე გაცემულ სესხებს მე-9 შენიშვნის შესაბამისად და სხვა მოთხოვნებს მე-11 შენიშვნის შესაბამისად. „კომპანია“ რეგულარულად განიხილავს მის სესხებს და მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად.

„კომპანია“, პირველ რიგში, განსაზღვრავს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, თუ ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ „კომპანია“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ის სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომლისთვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, მხედველობაში არ მიიღება გაუფასურების ერთიანი შეფასებისას.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის შესაფასებლად საჭირო მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავს მსესხებლებთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე ისტორიული მონაცემი არსებობს. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, „კომპანია“ ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. „კომპანია“ ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც შესრულდება სესხის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

(ii) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, „კომპანიის“ სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგრამდე არსებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება (ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით) არ მიაღწევს იმ ღირებულებას, რაც მას ექნებოდა გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(f) საწესდებო კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს აქციონერების მიერ „კომპანიის“ რეგისტრაციისას უფლებამოსილ კაპიტალს. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი.

(ii) დივიდენდები

„კომპანიის“ შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებსა და რეგულაციებს.

დივიდენდები აღირიცხება შესაბამის გაუნაწილებელი მოგების სახით მათი გამოცხადების მომენტში.

(g) დაბეგრა

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(ii) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან გამომდინარე ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2019 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის დღისა ან იმ პერიოდისა, რომლის დროსაც ხდება დივიდენდების გადახდა.

(iii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობით. ქვემოთ წარმოდგენილი დროებითი სხვაობები არ ეხება: გუდვილს, თუ ის არ დაიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის, აქტივების ან ვალდებულებების საწყის აღიარებას, რომლებიც არ მოქმედებენ ანგარიშგებაზე და არც დასაბეგრ მოგებასა და დროებით სხვაობებს, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებსა და დაკავშირებულ მხარეებში, სადაც მშობელ კომპანიას შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობების ცვლილების ვადები და როდესაც სავარაუდოა, რომ დროებითი სხვაობა არ შეიცვლება უახლოეს მომავალში. წარდგენილი გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ ფორმას 2019 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 1 იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო დღეს და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარ იქნება სავარაუდო, რომ ადგილი ექნება დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზაციას.

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტები 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, არ წარმოეშვათ გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

(h) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის წარმოშობის საფასური, სესხის მომსახურების საფასური და სხვა გადასახდელები, რომლებიც მიჩნეულია სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად, დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებთან ერთად, გადავადდება ან ამორტიზირდება საპროცენტო შემოსავლით ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა გადასახდელები, საკომისიო და სხვა შემოსავლის ან ხარჯის ერთეულები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

(i) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ არის მიღებული

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, აგრეთვე, სტანდარტების ცვლილება და ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და, შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე. „კომპანია“ გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოშვებული იქნება რამდენიმე ნაწილად და განზრახულია, რომ ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9-ის პირველი ნაწილი გამოშვებულია 2009 წლის ნოემბერში და ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას. მეორე ნაწილი, ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ გამოვიდა 2010 წლის ოქტომბერში. სტანდარტის მესამე ნაწილი გამოშვებულია 2013 წლის ნოემბერში და ეხება ჰეჯირების ზოგად აღრიცხვას. სტანდარტი დასრულდა და გამოქვეყნდა 2014 წლის ივლისში. საბოლოო ნაწილი ეხება საკრედიტო ზარალის მოდელს გაუფასურების გამოსაანგარიშებლად. „კომპანია“ აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და შესაძლოა იქონიოს არსებითი გავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე. „კომპანიას“ არ ჩაუტარებია ამ ცვლილებების გავლენის ანალიზი. „კომპანია“ არ აპირებს ამ სტანდარტის ვადაზე ადრე დანერგვას. სტანდარტი ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად, ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით.

- განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება). აღნიშნული ცვლილება მოითხოვს განმარტებითი შენიშვნის გაკეთებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ცვლილებები ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებში. ცვლილება მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია. ახალი ცვლილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად „კომპანია“ აპირებს წარადგინოს ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთების რეკონსილირება.
- ფასს-ის სხვადასხვა გაუმჯობესება სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. ყველა ცვლილება, რომელიც იწვევს წარდგენის, აღიარებისა და შეფასების მიზნით სააღრიცხვო ცვლილებებს, ძალაში შევა არაუგვიანეს 2017 წლის 1 იანვრისა. „კომპანიას“ ჯერ არ გაუანალიზებია გაუმჯობესებათა შესაძლო გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მაჩვენებელზე.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ლარი	<u>2016</u>	<u>2015</u>
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,211,518	1,054,836
	<u>1,211,518</u>	<u>1,054,836</u>
საპროცენტო ხარჯი		
სესხები და კრედიტები	(346,500)	(288,054)
	<u>865,018</u>	<u>766,782</u>

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საპროცენტო შემოსავალში შესულია მთლიანად 26,188 ლარი (2015 წელს: 23,352 ლარი), რომელიც უკავშირდება კლიენტთა ვადაგადაცილებულ სესხებს.

5 ხელფასები და ბონუსები

ლარი	<u>2016</u>	<u>2015</u>
თანამშრომელთა ანაზღაურება	<u>234,293</u>	<u>231,916</u>

6 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	<u>2016</u>	<u>2015</u>
საოპერაციო იჯარის ხარჯი	62,000	57,000
პროფესიონალური მომსახურებები	60,350	46,561
საოფისე მასალები	39,484	22,897
რეკლამა და მარკეტინგი	17,467	7,320
უსაფრთხოება	5,369	4,920
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	5,803	4,447
სხვა	15,155	15,008
	<u>205,628</u>	<u>158,153</u>

7

დაბეგვრა

ლარი	2016	2015
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	82,293	69,387
მომრაობა გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში, ორგანიზაციის მიმართ და დროებითი სხვაობების ცვლილება	(8,880)	(6,842)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	73,413	62,545

2016 წელს მოქმედი საგადასახადო განაკვეთი მიმდინარე და გადავადებული გადასახადისთვის არის 15% (2015 წელს : 15%).

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შედარება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	2016	%	2015	%
მოგება დაბეგვრამდე	503,303	100	421,180	100
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	75,495	15.0	63,177	15.0
დაუბეგვრავი მოგება	(2,082)	(0.4)	(632)	(0.2)
	73,413	14.6	62,545	14.8

(a) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური ანგარიშგების მიზნით და საგადასახადო მიზნით გამოყენებული თანხები წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მომრაობა დროებით სხვაობებში 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

2016 ლარი	1 იანვარი, 2016 წელი	ადიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი, 2016 წელი
კლიენტებზე გაცემული სესხები	5,280	7,244	12,524
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(3,433)	801	(2,632)
სესხები და კრედიტები	2,109	835	2,944
	3,956	8,880	12,836
2015 ლარი	1 იანვარი, 2015 წელი	ადიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი, 2015 წელი
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,182	4,098	5,280
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(5,170)	1,737	(3,433)
სესხები და კრედიტები	1,102	1,007	2,109
	(2,886)	6,842	3,956

(b) აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები შეესაბამება შემდეგს:

ლარი	აქტივები		ვალდებულებები		ნეტო	
	2016	2015	2016	2015	2016	2015
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,524	5,280	-	-	12,524	5,280
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	(2,632)	(3,433)	(2,632)	(3,433)
სესხები და კრედიტები	2,944	2,109	-	-	2,944	2,109
წმინდა საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები)	15,468	7,389	(2,632)	(3,433)	12,836	3,956

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება სათანადოდ არის წარმოდგენილი, რადან ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია საგადასახადო აქტივების გამოყენება.

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2016	2015
სალაროში არსებული ნაღდი ფული	86,011	17,491
ბანკებში არსებული ნაშთები	490,918	57,237
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	576,929	74,728

